თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 13

ქ. თელავი 24.11.2022 წელი

თავმჯდომარეობდა: **ზურაბ ლილუაშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **უჩა ჭოტიაშვილი; მამუკა ბურდიაშვილი; გიორგი ხაჭაბურიძე; გიორგი ქართლელიშვილი; გიგი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კევლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატები - **დავით ღაღანიძე; ზაზა ტატულიშვილი; ბადური გულიაშვილი.** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - **ნიკოლოზ მეტრეველი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - **ფიქრია ყუშიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - **თედო ხოსროშვილი.** მოქალაქე - **მაკა მოსიაშვილი; არჩილ მჭედლიშვილი.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის“ განხილვის და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის 2023-2026 წლებისთვის“ განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - გ. ხაჭაპურიძე
თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

<u>**მოისმინეს**</u>: 1. „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის“ განხილვის და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის 2023-2026 წლებისთვის“ განხილვის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> კომისიის მსვლელობის პროცესში, კომისიის თავმჯდომარის შეუძლოდ ყოფნის გამო, სხდომის თავმჯდომარეობა სიტყვიერად დაევალა, კომისიის წევრს გიორგი ხაჭაპურიძეს. მან ზოგადად ისაუბრა პრიორიტეტების დოკუმენტზე. აღნიშნა, რომ „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2023-2026 წლებისთვის“ შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. მან ასევე ისაუბრა თელავის მუნიციპალიტეტის 2023

წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

კომისიის წევრებმა და დამსწრე დეპუტატებმა გარკვეული განმარტებები მოსთხოვეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნ. ვაყელიშვილს.**

მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრება **34336.0** 0 ათ. ლარით, რაც გასული წლის საწყის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია **6034.0** ათ. ლარით. გაზრდილია დაფინანსება მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულ დარგებზე.

მსჯელობის შემდეგ, განხილვა წარიმართა პრიორიტეტული დარგების მიხედვით, კითხვა-პასუხის რეჟიმში. რაზეც შესაბამისი დარგის სამსახურის უფროსებისგან მიიღეს პასუხები.

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაში მუნიციპალიტეტი დახარჯავს - **8729,4** ათ. ლარს.
2. დასუფთავება და გარემოს დაცვაზე დახარჯავს - **1162,8** ათას ლარს.
3. განათლების (სკოლამდელი აღზრდა) დაფინანსებაზე დახარჯავს - **6573,60** ათას ლარს.
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი დაფინანსებაზე დახარჯავს - **4214,4** ათას ლარს.
5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალურ უზრუნველყოფის დაფინანსებაზე დახარჯავს - 3089,80 ათას ლარს;
6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებზე დახარჯავს - 7825,1 ათას ლარს.

დეპუტატების თქმით - ინფრასტრუქტურაში დახარჯული თანხა მცირეა. თუ გავითვალისწინებთ მარტო იმას, რომ ქალაქის მასშტაბით თითქმის ყველა ქუჩას რეაბილიტაცია ჭირდება. ასევე მოსაწესრიგებელია ალაზანი-კავკასიონის მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოები.

გ. ხაჭაპურიძე - გამოინახოს თანხები ალაზანი - კავკასიონის მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაციისთვის.

მ. ბურდიაშვილი - რა თანხაა საჭირო სამუშაოების დასრულებისთვის?

რაზეც თ. ხოსროშვილმა უპასუხა, რომ პროექტი 2021 წელსაა შედგენილი. უნდა მოხდეს გადაფასება და კორექტირებულ თანხებს მოგახსენებთ.

კითხვა დაისვა ელენე ახვლედიანის სამხატვროს სკოლასთან დაკავშირებით, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია და იქნება გამოინახოს სახსრები მისი რეაბილიტაციისთვის.

კომისიაზე ასევე ითქვა, რომ თელავი ტურისტული ქალაქია და კარგი იქნება მის სისუფთავეზე განსაკუთრებით თუ ვიზრუნებთ. მაგრამ შეუძლებელია იმ დროს, როდესაც მეეზოვეს ანაზღაურება მიზერულია, სასურველია გადაიხედოს მათი ანაზღაურების საკითხი. ასევე ქალაქში მცირეა საპირფარეშოების რაოდენობა.

თ. ხოსროშვილი - ქალაქის სამ ლოკაციაზე: მშვიდობის ქუჩაზე მდებარე და ჩოხელის ქუჩაზე მდებარე სკვერში, და ი. გოგებაშვილის სახელობის სახ. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე იგეგმება ახალი საპირფარეშოების მოწყობა.

დეპუტატებმა: რუსუდან იმერლიშვილმა, იმედა კევლიშვილმა, გიგი გიგიტელაშვილმა და ბაადურ გულიაშვილმა ისაუბრეს ა(ა)იპ-ებზე, რომლებიც ფაქტიურად დუბლირებულ საქმიანობას ეწევიან, მაგალითად სპორტული ა(ა)იპ -ები, მოხდეს მათი გაერთიანება. საიდანაც გამოთავისუფლდება თანხები. ასევე გამოთავისუფლდება თანხები და მათი პრიორიტეტულ დარგებზე გადანაწილება შეიძლება. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საშტატო ნუსხის გადახედვის შედეგად. რადგან შერწყმისას დასაქმებულების რაოდენობა არ შემცირებულა.

დეპუტატებმა მოითხოვეს, ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთს - შეუმცირდეს დაფინანსება. შარშან იყო 50,0 ათ ლარი და წელს გაზრდილია 70,0 ათას ლარამდე.

კომისიაზე მსჯელობის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

1. მოხდეს დუბლირებული ა(ა)იპ-ების (მაგალითად რამდენიმე სასპორტო ა(ა)იპ)-ის გაერთიანება და გამოთავისუფლებული თანხები გადანაწილდეს პრიორიტეტებზე
2. მოხდეს საშტატო ნუსხის გადახედვა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში, რადგან შერწყმის შედეგად დასაქმებულების რაოდენობა არ შემცირებულა და გამოთავისუფლებული თანხები განაწილდეს ოპტიმალურად.
3. ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი - შეუმცირდეს დაფინანსება.
4. ა(ა)იპ თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა სავალალო მდგომარეობაშია. იქნებ გამოიძებნოს სახსრები მისი რეაბილიტაციისათვის.
5. 2023 წლის ბიუჯეტში გამოიძებნოს თანხები ალაზანი-კავკასიონის ეზოების რეაბილიტაციისთვის.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზრდის მაჩვენებლის მიუხედავად ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი 21375,10 ათასი ლარი, ქონების გადასახადი 7400,0 ათასი ლარი და სხვა შემოსავლები 3695,0 ათასი ლარი. წარმოდგენილი თელავის მუნიციპალიტეტის 2023 ბიუჯეტის პროექტის საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით არ შეიმჩნევა საკუთარი შემოსავლების ზრდის ტენდენცია.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> კომისიამ „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი“ და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის 2023-2026 წლებისთვის“ შეაფასა დადებითად. მომზადდა შესაბამისი დასკვნა (ოქმს თან ერთვის) და მიზანშეწონილად მიიჩნია დეპუტატების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები, წერილობით გაეგზავნოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას, მათი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარის მ.შ. გ. ხაჭაპურიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**d04. 27223292**

თარიღი:**25/11/2022**

„თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი“-სა და „თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2023-2026 წლებისთვის“ განხილვის

დასკვნა

თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი 2023-2026 წლებისთვის შედგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხოლო რაც შეეხება „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის“ იგი თანხვედრაშია „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებასთან. მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტის ცალკეული პროგრამები და ქვ. პროგრამები დაკონკრეტებულია და შეიცავს დაფინანსების მოცულობას, აღწერას, მიზანს და შედეგს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 34336,0 ათასი ლარით, რაც გასული წლის საწყის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილი 6034,0 ათასი ლარით. ზრდის მაჩვენებლის მიუხედავად აღსანიშნავია რომ ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი (21375,10 ათასი ლარი), რაც მთლიანი ბიუჯეტის 62,25%-ს შეადგენს, ქონების გადასახადი (7400,0 ათასი ლარი) რაც მთლიანი ბიუჯეტის 21,55% -ს შეადგენს და სხვა შემოსავლები (3695,0 ათასი ლარი) რაც მთლიანი ბიუჯეტის 10,76%-ს შეადგენ.

წარმოდგენილი თელავის მუნიციპალიტეტის 2023 ბიუჯეტის პროექტის საპროგნოზო მაჩვენებლების მიხედვით არ შეიმჩნევა შემოსავლების ზრდის ტენდენცია.

პატივისცემით,

ზურაბი ლილუაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

2200, ქ.თელავი, ერეკლე II გამზ. N16 ტელ: 599-73-89-29, ელ.ფოსტა: ZURALILUASHVILI@GMAIL.COM